

## პროგრამის სახელწოდება: ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება

პროგრამის სახე: პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12.

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: საშუალოდ 11—12-სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 137 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -5 მაქსიმალური --10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: პირი, რომელმაც მიაღწია 18 წელს, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება ბულალტრულ აღრიცხვაში და სურვილი აქვს მოკლედ დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები „ ფინანსური ანგარიშგება -დეკლარირება“ და დასაქმდეს აღნიშნული სპეციალობით;

### პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია გაიღრმავლონ ცოდნა/უნარები „ფინანსური ანგარიშგება - დეკლარირება“:

- სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება;
- სამეურნეო სუბიექტის ბულალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების კონტროლი
- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სტატუსის მქონე საწარმოებში ბულალტრული აღრიცხვის წარმოება
- კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება
- ეკონომიკური ანალიზის პრინციპები და სახეების კლასიფიკაცია;

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, პრომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თანამშრომელს. გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში

### სწავლის შედეგები ( აღინიშნება ცოდნით და უნარით )

- სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენა

- თინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება;
  - სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგების კონტროლი
  - სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის სტატუსის მქონე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება
  - კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციების შევსება
  - ეკონომიკური ანალიზის პრინციპები და სახეების კლასიფიკაცია
- **პროგრამის შემუშავების საფუძველი:**  
 პროგრამა შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბერი №656 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: #842 2017 წლის 29 დეკემბერი ; #80/ი 31 01.19) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 4 მარტის №09 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“
- **პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს ბუღალტრული გამოცდილება და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები „**თინანსური ანგარიშგება - დეკლარირება**“ სპეციალობის სფეროში და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.
  - პროგრამის ხანგრძლიობაა 12 კვირა, 137 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 11-12 სთ.
  - სწავლების მეთოდებია: ლექცია/პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება. ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალება/პროდუქტი. დაკვირვებით; გამოკითხვა.
  - პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარი.